

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

70

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები მაღალი ძაბვის ელექტროობაში, რომელიც ფლობს ან ოპერირებას უწევს ქვესადგურებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, აწარმოებს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემების ექსპლოატაციას წარმოების ადგილიდან გამანაწილებელ სისტემამდე და იმ გამანაწილებელი (ელექტრული ხაზების, ბოძების, მრიცხველების და კაბელებისაგან შემდგარი) სისტემების ექსპლუატაცია, რომლებიც აწვდიან წარმოების ადგილიდან ან გადაცემის სისტემიდან მიღებულ ელექტროენერჯას საბოლოო მომხმარებელს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ელექტროობაში მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

1. ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე;
2. გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები;
3. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები ნახაზის მიხედვით;
4. განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგზ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება;
5. დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება;
6. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია ინფორმაციის საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
7. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე

- დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
8. დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების აპარატურა;
 9. გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს.
 10. შეასრულოს მანქანა დანადგარების ნაწილების დემონტაჟი შეკეთებისათვის, დეტალების შემოწმება დეფექტებზე, ძრავების დანადგარების და მექატრონული აღჭურვილობის დიაგნოსტიკური მომსახურება/რემონტი;

შეფასების წესი:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საკონტაქტო პირი:

პროფ. ნატალია კერესელიძე

ტელ 555591738

ელ-ფოსტა: natakereslidze@gmail.com;

მისამართი: სტუ. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი